



სალიტერატურს და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 44.

ოქტომბერი 24, 1893 წ.


№ 44.

შინაარსი: — პლეშჩევი. — *ს. ლეჟი გ. გვახაიასი. — სამეცნიერო კვლევა. დაფარული სენი, ა. ჯ. — ისა. — იეგ ერეკლელი, ლეჟი მალ. ზოლჭეიძისა. — სამეცნიერო ხეკო უჩარდიასი. — კურთხევი ე. — ლისა. — კრიტიკა: მოციქული მობისა და ურთიერთობისა ზომილდისა. — სატრფოს, ლეჟი დეტუ შვერელისა. — განკარგულზე ე. ნინოშვილისი. — სახეშარო გესართობი. — განცხადებანი.

კლემენტევი



ს კოტას ხან-
ში ნიცას უე-
ტრად გადაი-
ცვალა პოეტი პლე-
შევი, რომელმაც
თან ჩაიტანა საფლავ-
ში არამც თუ თავის
მეგვარეთა სიყვარუ-
ლი და პატივისცემა,
არამედ ყოველ დაზა-
გრულთა ბედში მყოფის
თითოეულის კა-
ცისა ზმთელის ერისა-
ცა, ეინკი მის თხზუ-
ლებს კითხულობდა.
იგი არ ყოფილა ცალ-
კერძი მოღვაწე, რომელსაც
კარგი და ავი თავის
გეორისა თანა-
სწორად მოსწონს, მის
უსამართლობასაც
ესარჩლებია, ოღონდ კი



პლეშევი

მისმა ტომის ერმა
გაიმარჯვოს და ფრთა
გაშალოს სხვა ტომის
ზურგზე. ეიმორებთ,
პლეშევი არ იყო ასე-
თი კაცი. უსამართლო-
ბის გულისთვის იგი
თანასწორად ებრძო-
და, გინდ თავისიანი
ყოფილიყო, გიონდ
სხვისიანი. ის იყო
მომხრე და ერთგუ-
ლი ძმა დაზარულთა,
ხოლო მტერი მძლავრთა. აი, ამის-
თვის ჩვენს ბედში მყოფთათვის
პლეშევისთანა კაცები
ჩვენზე მოციქულნი არიან
ძმობისა და სამართ-
ლიანობისათვის. ისინი,
თუმცა უტხო გვა-
რისანი არიან, მაგრამ

სულით და ხორციით ჩვენ გვეკუთვნებინა, ჩვენი ღმერთი მათი ღმერთია და მათი ჰიერი ჩვენი ჰიერიც უნდის.

უკანასკნელ ოთხას წლის წინად ის გახდა მემკვიდრით დიდის ქონებისა. ამ შეძლებიდან ერთი მოზრდილი ნაწილი შესწირა რუსეთის სალიტერატურო ფონდსა, თვითონ კი ვადასახლდა საფრანგეთში და იქ გადაიკვლია.

ერთ დღისა ნიცაში პლემჩევი სწერდა წერილს რუსის კონსულთან: უეცრად ენა დაება. მის უფროს შვილს ეგონა, გული შეუწყებოდა და წყალი

ასხურა; მაგრამ პოეტმა ამ ორი სიტყვის თქმაც ძლიერ მოახერხა: „ლაპარაკი მინდა და ვერ მომიხერხებიაო“ ეს მოხდა ოთხს საათს ნაშუადღევს და ღამის ათს საათზე პოეტი საბოლოოდ გამოეთხოვა ამ წუთისათვის. მისი გვაში იქიდან გადიტანეს პარიკს 29 ენკენისთევს იგი დროებით დაასვენეს დარიუს ეკლესიის აკლამაში; მაგრამ იმავე დღეს საღამოს რვა საათზე ისევ ამოიღეს აკლამიდან და რკინის გზით ვაისტუმრის რუსეთში. მის დასაფლავებაზე მოსკოვში დიდ ძალი ხალხი დაესწრო.



* * *



მევენ წახლით და დაბერდით, მშობობით გონების ქოლასა; ოთახის ჰაერს გულ-მკერდით აზობთ — ეძახით ბრძოლასა.

მოგვმორდით, თქვენი არაა გვესურს გამოცდილება ქებული; გვინდა და გვინდა ახალ გუნდს ბრძოლა თავდავიწყებულთ.

იყავით, ახლა კი არა, ერთხელ ცნობილი ძალადა; დრო იყო, მან გაიარა, არ დაბრუნდება კვალადა.

ახლა სადილი მიირთვით, ყავამ არ მოგწვიათ ტუჩები, და ისეირნეთ — თქვენთვის, ღვთით, დაგვილი გახლავით ქუჩები.

ჩვენ გვექონდეს ჩვენი წადილი, თქვენ კი თქვენივე რჩევანი, და დაგვიძრახეთ ქადილი, თუ ჩვენ შეგვნიშნეთ რჩევანი;

თუ ვექმნეთ გარემოებას შიშით სოროში მძრომელი, თუ დაუფიქროთ დროებას გონება დაუსტრომელი...

ეჰ, არ ვეხებთი არავის, — რა მესმის მცირე წლოვანსა? და ნუ დაიწყებთ თქვენც თავის ქნევას დიდ-მწიფნელოვანსა;

სჯობს, მისცეთ ტუბილ-მყუდროებას კუჭი დღე-და-ღამ მპოხველი... ვაი, რა ეუთხრა დროებას, თქვენ კაცად გიცნობს რომელი!

გ. გვახაფა.

ს ა ტ რ ფ ო ს



მეცი, გიყვარებო, მეცი, მიყვარებარ

და მეტი, სატროფო, ჩვენ რაღა გვინდა?

ვიყოთ, ეიხაროთ და ვინეტაროთ, ეზარდოთ ჩვენს გულში ეს გრძნობა წმინდა!

თუ, რაც გვინდა ვთქვათ, ენით ვერა ვთქვათ, თვალებს გადაეცეთ, მათ ვათქმევინოთ

და, რასაც გული, ალღევებულო, ჰგრძნობს, ერთმანეთსა გავაგებინოთ.

და თუ სოფელი, დაუნდობელი, გვიმტყუნ-გვიმუხთოლებს, არ შეგვიბრალებს,

ერთი მეორეს ჩვენ დაგვაშორებს სიყვარულს ჩვენსას არ შეიწყინარებს.

მაშინ გონებით, ფიქრით, ოცნებით გულით და სულით შევეერთდეთ ჩვენა

და შთაგონებით, თუმც შორს ვიქნებით, ვიგრძნოთ ურთერთის ჰიერი და ღმერთა!

ვიცი, გიყვარებო, იცი, მიყვარებარ და მეტი სატროფო ჩვენ რაღა გვინდა,

ვიყოთ, ეიხაროთ და ვინეტაროთ ეზარდოთ ჩვენს გულში ეს გრძნობა წმინდა!...

ღუტუ მფრელო

სამეცნიერო კვლევა

დაფარულა სენა.

I



ოდესაც საქვეყნო სარბიელზედ გამოდის ბოლომე რომელიმე მცირე, პატარა ერი, მისი კეთილ-დღეობა და მერმისი ფუძნდება იმაზე, თუ რამდენად იჩენს იგი შორაშხვედლობას, განუწყვეტელ თეთი-მოქმედებას. იმან ყოველთვის უნდა იქონიოს მხედველობაში ის გამოცდილება და განსაცდელი, რომელიც მთელ-კაცობრიობას მძლავრ ისტორიულ ერთა სახით გამოუვლია; სხვისი შეცდომები უნდა გაითვალისწინოს, ბუნების და ლოღოსის და გვარად მიაწუოს თავის ცხოვრება. უკეთეს ყველა ეს არ მიიღო მხედველობაში, მისი ყოფნა ამ ქვეყნად საექვოა. მთელი კაცობრიობა წარმოგვიდგენს იმ გვარ ორგანიზმოს, რომლის განსვლ-კვეთული ასოები მკიდროთ არიან შეკვეთიერებული ერთმანეთთან. ამ საზოგადო კავშირზე შენდება ის, რასაც მსოფლიო ისტორიას უწოდებენ.

ერთგვარობა და თანაწილობა არასოდეს არა ყოფილა. ყოველ ისტორიულ ხანაში მოქმედობს რომელიმე დაწინაურებული ერი, რომელიც თავის მხრებით, შრომით და შესაძნელ გონებით მოსახრებელ ცხოვრების საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს. მის მოვლენას სასიამოვნო შედეგი მოსდევს ბოლომე. ამ სკოლაში იწურებოდა ყოველი ჩამორჩენილი ერი, აეარჯიშებს თავის ერთეულ ღონეს და მისი ბედობა იმაზე ჰქიდა, თუ რამდენად გადმონერგა მან თავის ნიდაგზე სხვისი ნაყოფი, კულტურა. როდესაც ამ სახით მას თან-და-თან ძლიერა და დასოუცილებული მწიშნელობა მიეცემა, იგია პირველი და უკანასკნელი თავის ბედის-წერის, მერმისის მომეველი, მომქმედი პირი... ისტორიულ ცხოვრებაში ყველა წარმავალია, ცვალებადია. ისტორიას შექმნის ადამიანი, წარმატება-ვანეთარების ნიჭით აღჭურვილი არსება. და როდესაც ადამიანს, ინდივს (ერთეულს) აქვს შეგნებული, თუ რა ძალით შეამკო იგი ბუნებამ, ცხადი იქნება მისთვის, რომ შინაური საქმეების მორიგება და მკიდრ ნიდაგზე დაყენება მანუა მინებებული ჩვენ უნდა ეიქონიოთ თვალწინ რთული და მრავალ-ფეროვანი ევროპიელების ცხოვრება, მათი ნაშაგი და ნაშუშეკარი.

ყოველ საზოგადოებრივ მოძრაობას თავიშე უღდას ბოლომე ინტელიგენცია (განათლებული წრე ანუ დასი). ინტელიგენციის ცხოვრებაში უნდა ვაჩნდეს თავისებური ნოყიერი ნიდაგვი; მათში ნათლად

უნდა გამოისახოს გონებითი კავშირი. იგი აერცურებს ხალხში თეთი-ცნობიერებას.

ბოლო-ხანებში ქართულ ინტელიგენციაში გამოირკვა ის ჰაზრი, რომ მთელი საქართველო თავის პროვინციებით შეადგენს ერთ განუყოფელ ერთეულ ორგანიზმოს (ტანის ავტულობას). თითქმის ყოველი საზოგადოების წევრი გამსჯელებულია ამ საერთო აზრით. ინტელიგენციის წევრთა განწყობილება, ურთიერთობა შენდება ამ შეგნებაზე, ამ იდეის გავრეფებაზე. ამ შემაკვეთიებელ იდეას აქვს ის ძალა, რომ მის საშუალებით ცხადდება, ისახება საზოგადობაში ერთი უპირატესი მისწრაფების საგანი. ერთგვარი იდეალი ყოველთვის გამოიწვევს ხოლომე ერთ-გვარად საყოველთაო მოძრაობას, მოქმედებას, წინგზივი აღორძინებას. და, აი ქართულ ინტელიგენციას გამოუშუქდა მტკიცე იდეალი, რომელსაც იგი ემსახურება და რომლის განხორციელებისათვის ცდილობს მოახზაროს თავისი მომზადება. რაკი ქართული ინტელიგენცია დაადგა ამ გზას, მისი მსვლელობის შევერხება არაეის ძალ-უძს. მას ესმის, რომ მდამიო ხალხი, უმრავლესობა, არ იჩენს ამ ხრით ცნობისმოყვარობას. სხვა ჰქრი და ვარამი აწულებს მუშახალხს.. მისი გონება შორს ამავრების ამა-თუ-იმ პოლიტიკურ მოსახრებას. ხალხი აქარწყლებს თავის ღონეს ლუკმა პურის ძიებაში, თავის პირველ მოსხონილებათა დამკაყოფილებაში. აი, ყველა ამისთვის ძლიერ სანუკეულ ნიშნად მიგვაჩნია ის მოვლენა, რომ ქართულ ინტელიგენციას მიინც აღმოუჩნდა შემაკვეთიებელი მისწრაფების საგანი. ამ მიმართულების ზრდა და გავრცელება უმრავლესობის ჭკუა-გონებაში მის თეთ-მოამქმედებაზე დამოკიდებული. ყველა ეს ასეა, მხოლოდ სამწუხარო და საუალალოა ისა, რომ ქართული ინტელიგენციის ავტულებაში ჰმულობს იმ გვარი სერი, რომლის განკურნება აუცილებელ საქიროებად უნდა მიჩნდეს მას. ყოველ ჩვენს კეთილ-შობილურ მისწრაფებას, ლტოლილებას ხელის შეწყობა ჰირდება. ეგ უნდა გავსოვდეს. ის სუსტი მხარე, ავად-ყოფობა, რომელიც ჩვენ გვაქვს მხედველობაში, აღიზარდა სოციალურ (საზოგადოებრივ) ნიდაგზე ჩვენ გვაქვს. აზრში წოდებრივი განხეთქილება. ამ სენმა ჩვენს მტირე ინტელიგენციურ დასშიაც იჩინა თავი. ყველა ეს გამოამკვარეობული არ არის, ეს მოვლენა პირველის მხედვით თითქმის შეუქმნეველია; მხოლოდ ამის მიზნს იმაში კი არ უნდა ეცებდეთ, ვითამ წოდებრივ ენებათა დლეებს მტირე მწიშნელობა აქეთ ამ ქამად ინტელიგენციის ცხოვრებაში, არამედ

მასში, რომ ყოველ ჩვენს მოძრაობას — ერთილია იგი თუ მევენე — არ აძევს ის სიკაცხე და ფერი, რომლითაც ასე ცნობილია დაწინაურებული საზოგადოების ეთარება. ჩვენში ჟურნალისტიკას ჯერ კიდევ მაგრად ევრ მოუცილია ფეხი. ამიტომ შეუძლებელია გამოქვეყნება იმ მოვლენათა და მიმართულე ბათა, რომელნიც შეუძნელოდ იზრდებიან და მწიფდებიან მისს საძირკველში. ის, რაც ჯერ კიდევ არ ირკვევა, არ ისახება ქალღმღმ, ივარება და ბუღბოს გულის სიღრმეში. და, აი, პუბლიცისტიკის მოვალეობაა, ყველა ამ გვირი მოვლენა გამოაჩინოს განმარტოს და აწონ-დაწონოს.

II

ინტელიგენციას კასტიური (წოდებრივი) ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. — იგი გონებით ძალაა, მასსა-დამე ყოველი შეგნებული და განვითარებული ერის წარმომადგენელი — გლეხია იგი, მღვდელი, თუ თავადი — ვალდებულია იკისროს რაიმე საზოგადო მოღვაწეობა და შრომა. ამ ნიადაგზე ინტელიგენციას ეროვნული ხასიათი ეძლევა. ეიდერ დაბად წოდებათ არ ეხსნებათ გზა და ლტოლვილება წამარტებისადმი, იმ ღრმად ინტელიგენციას, როგორც წოდებრივს დასს, სისუსტე და უფერულობა ეტყობა. ყველა დაწინაურებულს სახელმწიფოებში ამის მზგაესს მოვლენებს შეხედებით. რა იყო რუსეთის ინტელიგენცია იმ ღრმად, სანამ არ შეიკვებოდა მისი ხასიათი სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენლების შერევითა. რაზმმა ეგრედ წოდებულ რაზნო-ჩინცებისამ“ გაავრცელა, აფერთოვანა საზოგადოება. იგი ემსახურებოდა მიერს ერს, მისი სახით დაღადებდა ნაბდილი ინტელიგენტი და არა ეთამაღად-განათლებული წარმომადგენელი. ამა-თუ-იმ წოდებისა მის დაქვიდრებასთანავე მალად გონებრივს სართულში რწმენას და მსჯელობას ძალა მიეცა, იდეალს სიმტიცე, სიკაცხეს შინა და უნარი. ამ სულით და ხორციტ მრთელმა, მაგარმა დასმა თავისი წვლილი შეიტანა საზოგადო საკითხავეების გამოარკვევაში. მან გაავრცელა, გააფართოვა ინტელიგენციის გონებრივი მხედველობა და თვალ წინ დააყენა მრავალი საგარო მოთხოვნილებანი. რაშია სიმძლავრე და მწიფნელობა მიუღ დასახეით ერების მოწინავე დასეებისა, თუ არა იმაში, რომ ხალხის წარმომადგენლად, მისს მოთხოვნილების გამოსახებად წოდებრივი გუნდი კი არ არის მოწვეული, არამედ ღრმად განვითარებულნი „ერის“ ძენი... ასე იყო და არის ყოველგან, საცა კულტურას, გონების მუშაობას

მკვიდრად მოუდვამს ფეხი, ასევე უნდა იყოს ჩვენშიაც.

ქართული ინტელიგენცია თან და თან იზრდება, მპატულობს. იგი შესდგება ამ ჟამად სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენელთაგან. ეს ფრიად და ფრიად სანუგეშო მოვლენაა, რადგან ამ სახით იგი წინ წაიწევა, გამაგრდება გამტიკიცდება. მხოლოდ ჯერ ჯერობით-კი მას ბევრი ნაკულუვიანება ეტყობა.

ჩვენს ინტელიგენციაში სხვა-და-სხვა სახით იჩინათეი წოდებრივმა მძულეარებამ. ამ მოვლენას, რასაკვირველია, თავისი საფუძველიც აქვს, თავისი ისტორიაცა. იგი იხსნება ქართული სოციალური (საზოგადოებრივი) წეს-წყობილილების გარკვევით. წყლულს თავისი ძირი და ფესვი მოენახება, ასე რომ მისი ამოგდება, მოჩინვა, განკურნება ჩვენე დაქარებით უნდა ეიკისროთ.

ყოველს განკერძოებულ გუნდს ქართულ ინტელიგენციისს შეაქვს, რასაკვირველია, თავისი წვლილი ხასიათი საზოგადოების მოძრაობაში. სხვა-და-სხვა წოდებათა მოღვაწეთაგან შესდგება ძალა ქართულის მოწინავე დასისა. მხოლოდ ამავე წოდებათა ურთიერთ-შორის შეწეობით, შეტაკებით ჩნდება, ცხადდება ძირითადი უკუღმართობა ჩვენის სოცერებისა. ამ მოვლენას ღრმა და დიდი დაფიქრება ეჭირება.

III


ძველ საქართველოში ძლევდა და უპირატესობა ჰქონდა თავად-აზნაურობას. იგი იყო გულადი და მეოვარი დასი მის გმირულ ხასიათზე იყო დაფუძნებული სამშობლოს პოლიტიკური მშვიდობიანობა. მითითხმეტე საუკინიდან დაწყებული განათლებისათვის მის აგრერიათ აღარ სკაოდა; მისი ტკუვა-გონება გაუბრბადა აზროვნებას, მისი ბუნება არ რბილდებოდა სწავლის ნაყოფით. ამასთანავე, თავდაზნაურობის ეკონომიური მდგომარეობა იყო ყოველი მხრით დკამყოფილებული. მას მზად ეძლეოდა ის, რასაც მოითხოვდა მისი ბატონური ბუნება. ამისდა მიუხედავად, მეცხრამეტე საუკუნემდე იგი იყო მანძე მხენე და გამარჯვებული დასი. ამის მიზეზი იყო საქართველოს პოლიტიკური დაუმოკიდებლობა. თავად-აზნაურობა, გამსჭეადული სამშობლოს სიყვარულით, მოძრაობაში და სულის აღვლებეში იმყოფებოდა. იგი მპატრონობდა, მტრისგან იცავდა თავის ქვეყანას... მაგრამ მოესპო თუ არა საქართველოს თვითარსება, ამასთანავე მოისპო უკანასკნელი სავანი თავად-აზნაურობის თითომო-

ქმედობისაც. იმ დროინდელი საქართველო სიბნელით იყო მოცული. შესდგა, შეჩერდა ცხოვრების ძარღვის ცემა. ჩაეძინათ ჩვენს კეთილშობილურ გმირებს; ჩაეძინათ მათ, ვინც გვაუცლებით აღვჩენებდნენ თვალ-ყურს საშობალოს ბედ იღბალს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ხანებშიაც მას არ ჰქონია ქართული უპირატესობა. ბატონყმობა უზრუნველ ჰყოფდა მას თავის საჭიროების დაკმაყოფილებისთვის. იგი შეიქნა მუქი-მკამელა, უძლიერ წოდებად... განვლო რამდენიმე თამა წელიწადმა. ჩვენს ერს ჩემი, შეუმჩნეველი მოძრაობა დაეტყო. თან-და-თან, საზოგადო ეკონომიკურმა კანონმა იჩინა თავი ჩვენშიაც. იგი ღაღადებდა, რომ ბურთი და მოედანი მის ღარჩებად, ვინც ყოველის მხრით მომზადებული და გამოსადეგი იქნება ცხოვრებაში. გამწვევად არსებობისათვის ბრძოლა. ამ მოქმედება-მოძრაობას სასიამოვნო შედეგი მოჰყვა. ჩვენს ერს თან-და-თან, ინტელიგენცია (განებით განვითარებული თაობა) ემატებოდა, ვეც იგი ემატებოდა ის ძალა რომლითაც გაიზომება ხალხის საზოგადო ეთარება. დროზე შეიგნო თავად-აზნაურობამ თავისი უუცილდურესი და სამარცხენო მდგომარეობა. იგი დაეწაფა სწავლა-კანათლებას, ამ ცამად ბევრია მასში ეგრედ წოდებული განათლებული, უმაღლეს სასწავლებელში ნასწაველი კაცი. მაგრამ მისი ბუნება, უაღრესი ხასიათი, ჯერ კიდევ არ შეცვლილა. თანამედროულ დაწინაურებულ თავად-აზნაურობას გამოჰყვა სიამაყე, გადაჭარბებული თავის-მოყვარეობა, „ლიბალობის ხურღში.“ ბატონყმობის აუღელვებელ უსაქმო ცხოვრებას შეუმჩნეველად არ ჩაუღვია მისთვის. კარგა ხანმა უნდა განელოს, სანამ თანამედროე თავადის ბუნებიდან აღმოაფხვრება ყოველი მანე სულის მიდრეკილება, ის, რაც შეადგენს განუვითარებელს ადამიანის კუთვნილებას. თავადი ინტელიგენცია მოუთმენელია, ხშირად დესპოტი. თავის მყუდროების დაურღვევლობის დასაცეკლად იგი იჩენს ხოლმე გადაუმეტე-

ბულ გულ-ჩვილობას, სინაზეს და ეწროა შენ-ჩვიობის გრძობებს. თავის ბუნების მიდრეკილობით იგი მომეტებულ შემთხვევაში კონსერვატორია, თუმცა, რასაკვირველია, განათლების წინააღმდეგი არ არის. ისიც მოხდება ხოლმე, რომ იგი ლიბერალობას იწყებს; მხოლოდ ეს ან ხანდაზმობით მოედუნა, ან იშვიათი, რადგან თავის გულის სიღრმეში ის კეთილ-შობილურის ინტელიგენციისა. გონება განვითარებულის კაცის ცოდვილი ბატონყმური გრძობები ხშირად მის ჰკუა-გონებას, თეორიულ მოსაზრების დაუკითხავად, გამჯდარი აქვს ხასიათში. ძლიერია მემკვიდრეობითი კანონი. გადაცეგებულს წეს-წყობილებას ასე ადვილად ეწრ დაეღწეუთ თავს; მისი ზედ-გაგონება ჩნდება რამდენსამე განათლებულითა თაობათა შეამობებაში. წარსული ყოველ ცამს აგონებს თავად-აზნაურობას, რომ იგი იყო ბატონი, თავისუფალი, ყოველის მხრით დაკმაყოფილებული პირი. ახლა-კი, ყველა წაერთო, მოცხოო. თუმცა მას ესმის, რომ ბუნების კანონს ვერაინ წაუყა, რომ ამ ცამად მის მხნეობა-მეცადინეობაზე ჰკილია საზოგადოებაში უპირატესთა უფლებათა მოპოება, შთანთქან ძველებური წეს-წყობილება, რომელზედაც მყარდებოდა მისი გაგონება და ძალა. აისდა მიუხედავად, ყოველ ჩვენ განათლებულ თავადს ეწველება არ აჰყეს მის ბუნების ენებათა-ლეღვებს. მისთვის სამძიოა იმ ღიადობის ინსტიტუტების შემკირება, რომლის წყალობითაც იგი ყოველთვის შეაფხვრებს ქართულ საზოგადოების წინსვლას. აქედან სჩანს, რომ ინტელიგენციის ვითარებაზე, მისს სულიერ ხასიათზე აქვს ღიი ზედ-გაგონება წოდებრივ განკრძობებას და ეკონომიკურ პირობათა. ის, რაც წინათ ამა-თუ-იმ წოდებას თავისებურ ფერს სდებდა, იმას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი ძალა და ფერი.

(შემდეგი იქნება),

ა. ჯ.



იუგა ერთგული

(ეუძღვნი მოხარდ თაობას)



აალამაზე იგი, რაცა ვაქვს—
 შენი ქვეყანა, ნიჭი და შრომა;
 ეს იყოს შენი ზრუნვის საგანი
 და ერთად-ერთი გულისა ნდამა.

მეცნიერება მუდამ გიყვარდეს,
 წინ მიგიძღოდეს იმის ნათელი;
 იგი ცხოვრების სწორი ხილია
 და გონებისა მანათობელი.


გალამაზე სამშობლო ენა,
 იარაღია ისიც შეგლისა,

რომ სამუდამოდ ცრემლი მოსწმინდო
ერს, რომელიცა სიკვდილს ელისა.

უმართებულო მოქმედებაზე
ნულარ დაჭარაე მდურეა, წუწილსა,
და როს ისწრაფი სიკეთისაკენ —
არ შეუშინდგ მძიმე კიდილსა.

იყუე ერთგული შენის სამშობლოს,
იმის მკვიდრისა შემოცლებელი;
ეცადე ორთაე გაახალისო,
ვით ახალისებს დედს მშობილი.

მალ. ბოლქვაძე



ს ა მ ე გ ე ლ ო

ზაფხული და შემოდგომა: — მათი ვაგუნა ნამუშევარ-
ზე: — ქურდების სესონი; — რა ეწოდება საქმეს!

მამერგლო, მოგვხსენებათ, ერთი უკეთესი ნა-
წილია ლეთის-მშობლის წილად სდამობლის
ქვეყნის — დიდის საქართველოსა. როცა სა-
მეგრელო იყო სამთავრო 1853-ს წლამდე, მის სა-
ზღვრებს შეადგენდნენ: აღმოსავლეთით მდ. სტენის-
წყალი და იმერეთი, დასავლეთით შავი ზღვა, სამხ-
რეთით მდ. რიონი და გურია, ჩრდილოეთით სანე-
თი და ჩრდილო-დასავლეთით მდ. ენგური — ეგ და-
სავლეთის თერგი — და სამურზაყანო. დღეს კი სამე-
გრელოს შეადგენს ორი მაზრა — სენაკის და ზუგდი-
დის ოთხს ათასამდე მცხოვრებით. მებრელები — მბ
ნიჭიერი, ზრდილობიანი, მამაკი და სტუმრის მოყვარ-
ე ხალხი, არიან მდიდარნი მიწა-წყლით, სახნავ-სა-
თესით, ტყით და მითით. მებრელები მისდევნენ: მიწის
მუშაობას, მეფოგობას, მეფუთკობას (უფრო ზუგ-
დიდის მაზრაში), მედარეშუმობას, მევენახობას და
ვაჭრობას. ამ უკანასკნელ ასაბრეზე ისინი სომხებ-
საც არ ჩამოუვარდებიან გამჭირბობით და შნო-
უნარით. მიწის მუშაობას, სიმიდის მოყვანას ისე
ძლიერ ეციდებიან ორივე მაზრაში — უფრო სენაკი-
საში, რომ არ არის საქართველოში ისეთი კუთხე,
რომელიც ამდენს სიმიდს ჰგზავნიდეს საზღვარ გარეთ.
ო დიში (სამეგრელო) ყოველ წლობით 8 — 8 მილიო-
ნამდე ფუის გზავნის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ წლებულს
ეერ დაუდგა მხენელ-მსხველთ კარგი ამინდი: მთე-
ლი ივლისის თვე გვალვა იყო უწყველო ასე, რომ
მრავალ მთის საზოგადოებებში სიმშილიც მოსალო-
დნელია წლებულს. მეტისმეტემა და ხანგრძლივთა სი-
ცხებმა აანხმეს სიმიდის ღეროები უტაროვოდ. აი,
საზოგადოებანი, რომლებიც წელს ნაკლებს მოსა-
ვალს მოელიან: კორსხელის, კვადუშის, დიის,
ფახულანის, ჯვარის, ჯვალის, წალენჯიხის, მუხურის,
კირცხის და ლესიქინის და სხე. (ზუგდიდის მაზრა);
აბედათის, მარტვილის, ნაფიზოუსის, ფოცხის, უშუფა-
თის და ევის და ზოგი სხვებიც (სენაკის მაზრა).

დიად, ასეთმა საშინელმა ვეალებმა გაახმეს
სიმოდები, სადაც კი „ნადარევი“ იყო, ხოლო და-
ბალ ადგილებში „ნავიანეს“ მოუსწრო ავგისტოს

წვიმებმა და სული ჩაუდგა, მოასულიერა და გაუ-
ლენია იმედი მუშა ხალხს; ასე რომ მოსავალი მისი
ეცოფა სამეგრელოს, ბეგრსაც ვაჭყიდის. შემოდგო-
მის პირველმა თვემ, სექტემბერმა, ძლიერ შეგვიწყო ხე-
ლი: შეგინერი დარები დიჭირა და სიმიდის ტაროე-
ბი, ავგისტოს დამარცხებულნი, გადიდა და გაახ-
მო კიდეც, დადა ოქტომბერი და ვაგვიწვიმა, მე-
ტისმეტი ავი ტაროსებია. ძლიერ უჭირს საზარლო
მუშა ხალხს: აწვიმს მას მთელი ოჯახით, რადგან
ყოველი სული ოჯახისა მინდორზეა გასული მოსამ-
კალად; უჭირს მეგრეთა აელა-დიდება სიმიდსაც, —
სეულდება და ლბება — დიდი გაჭირვება ახლა ჩვენ-
ში, — ახლაა შემოდგომა და მაშასადამე კარგი დარე-
ბიც საქრო, მაგრამ წლებეანგლომა წელმა რაღაც
სიუკუმართეს მიჰყო ხელი და ასეთს მის უკულ-
მართობას, რასაკვირველია, მრავალი მსხვერპლიც
მოჰყვება გაციების გამო. მხოლოდ თუ კი ახლა ვა-
დავრით, შედეგე აღრა გვიჭირს-რა. — დადაც შემოდ-
გომა და დაწყო ქურდების სესონიც“.

სი უბედურ ხირუა,
დროკი მგედინუ!
შემოდგომაქ ქომორთუ და,
კონი გევორთინუ...“).

გაიძახან უნამუსო ქურდბაცეები და მართ-
ლაც რომ განახლეს — მეტისმეტს შერებინ: ეზოში
ეერ ვაგვიშეია ტენები და ხშირად ხელიდანაც გეტა-
ცებენ. ახალი აქ არაფერია, მოგვხსენებათ, ჩენი
კურობეული მხარე ქურდებითაც არ არის ღარიბი;
გასაკირი აქ მხოლოდ ისაა, რომ თვით ქურდები
ტყდებიან, დრო დაეკარგა ჩვენს ხელობასაო და
მაინც თავისას არ იშლიან. ნუ თუ მათის მხრით ეს
დაქენვა არ არის ჩენი წეს-წყობილებისა და ძართე-
ვაშეკობისა? რომ ცოტას მოინდომებდნენ ჩვენს ბე-
მარცხილად გელობას, ხომ მოვლებოდა ბოლო ამ სა-
მარცხილა ხელობას. ის კი არა ავენენები ამბობენ,
ერთმა უფროსმა ერთხელ თავის მოხელეებს ასე
უთხრაო: რას გადაეციდეთ ამ ქურდებს? არ ხედათ
თავიდაშვილებიც ქურდობენ რ, ააა, რალს ეუზამთო?!

*) სი უბედურო პარვა
დროკი დეკარაჟა
შემოდგომა მოვიდა
და კინი ვაგართეა. ესე იგი კინი ვაგორცეალა, განგახალსო.


კი ლოლიკა, მკითხველო, არა?!... აბა, იქ რა მოსატანია თავადობა, ან გულგობა? — ქურდი, ავაზაკი, ავი ყველაფრითა შესაკეცი და სადევარია, ვინც გინდა იყოს! განა თავადი რომ არის, იმისთვის უფლება აქვს მის ნებაზე იფარფაროს? რასაკვირველია, არა. მაგრამ, მე მგონია, ჩვენში კეთილშობილები უფრო ნაკლებად მისდევენ ამ უფუფერებელს ხელობას, ვინემ გულგობა, თუმცა ისიც მართალია, რომ გულგობა — ქურდებს — მფარველებად თავდაზნაურობი ეყოლებათ. მერე თუ ეს მფარველები ვიცით, რატომ უწესოთ არ მოეცეპრობით უწესოებისათვის. ეს, ოღონდ მოვიდომებდეთ და შევიბრალებდეთ მშვიდობის მოყვარე ხალხს, თორემ ბევრი შეიძლება, ყველაფერს ეშველება. ამისთანა შემთხვევისთვის არის ეს დიდი აზროვანი სიტყვები ნათქვამი:

ხაშს რომ კაცმან გონიერმან
ძნელი საქმე მოაგვაროს. #

გულგრილობა ხალხისადმი მოიშოროს, მოიძაგოს! — დავმართოთ სკოლები იმ საზოგადოებებში, სადაც უფრო ხშირია ეს სენი, — თევში თითო ჯერ მაინც გავისვიროთ ამისთანა შენიშნულ საზოგა-

დოებებში, შეყვაროთ ხალხი, ცუქდავგოთ მამაშვილურად, სიყვარულით და მაშინ ნახათ, რა შედეგიც ექნება ასეთს მოქცევას. სიყვარულით ყოველივე მოინადირება. „ქურდებს საზოგადოება იფარავს, მაშ ყველა ქურდილია.“ ეს უსამართლო შეურაცხყოფაა. მიზრძანდით იმ საზოგადოებაში, სადაც გვევლნობათ ქურდები; აბა, თუ არ მოკრდით ისინი, მხოლოდ ნუ ეი გულშეგობა; დასჯეთ, დაჰკარგეთ; თორემ საზოგადოებამ შენიშნული ავაზაკი კაცი დავისახელათ, ხელში მოგვტოვებთ? იქვე მრძანდით: „ИТЬ ДОСТАТОЧНЫХЪ УЛИЦЪ“ და რომ გაუშვით, სამართალი იქნება? განა აქედან არ იწყება იგივე ქურდობა, შურისძიება, მტრობა, კაცის კვლა, ცეცხლის წკვილება და სხვა და სხვ. რა-საკვირველია, ამას შემდეგ, აბა, ვინ გაზედავს ავის ჩვენებას „არ დაჰკარგვენ და მერე დავიღუბებომა?“ კაცი თავის დღეში იმაზე მეტს ვერას გააკეთებს, რის გაკეთებაც შეუძლია და ეს კი არ უნდა დავამალოთ მოყვასთ; — არა გვაქვს ზნეობრივი უფლება ვთქვათ, რომ ეს შეუძლებელია, ჩვენ უმისოთაც ბევრი საქმეები გვაქვს. ვინ ამბობს? საქმეები მრავალია, მხოლოდ მარტო კაბინეთში პრლანების არაფერი გარიგდება, საქმეს ადგილზე უნდა გაკეთება.

ხაკო უჩარდია.




ქ ვ რ ტ ი მ ე ბ ი.

გიგრსა და ფერატს შუა მდებარე ქვეყნები ისე აკრულებულია სხვა და სხვა გეარო მოდგმის ერებით, რომ მგორე ასეთს ქვეყანას იშვიათად შეგვადგენით. ასეთი არე-დარევა სხვა და სხვა ხალხებისა ერთმანეთში იმის მიზეზია, რომ აზიელებს ხშირად მოუხდებოდათ ხოლმე ამ ქვეყნებზე გადავლა და ყოველთვის თითოეული თემის წარმომადგენელი იქ რჩებოდა. ამ ერთ შორის ყველაზე უფრო გაუგებარი შთამომავლობისა — ქურთები არიან. ზოგი ფიქრობს, რომ იმათი წინაპარნი პართელები იყვნენ, უფრო ნამდვილი კი ის არის, რომ ისინი კარდუბების შთამომავალნი ირიან, რომელნიც გერმოდენ ქსენოფონტის ჯარებს, როცა ისინი ბრუნდებოდნენ საბერძნეთში. ქურთების რიცხვი მილიონ-ნახევრამდის იქნება ისინი ვანიყოფებიან ორ ნაწილად: გურანები, ანუ მზენელ-მთისელები და კოხურები, ანუ მწყესები. გურანები მთის კალთებზე ცხოვრობენ; თითო მათი სოფელი შესდგება თუთბოტიად ორმოც კომპლად. მართალია რომ ეთქვათ, მათ სადგომებს სახლებიც არ ეთქვამება. ისინი მხოლოდ მიწა-მიწა გამოთხრილი გამოურები არიან, რომელთაც ზვიდან მიწის ბანები აქეთ გაკეთებული. თითო გამოური სამ ნაწილად არის გაყოფილი; ერთში თითონ სახლის პატრონები ცხოვრობენ, მგორეში საქონელი და მესა-

მეში სათიევა, რომელიც თიეთ არის გომეტენილი. ბანში ნახებრტია კომლის ამოსასული; ყველებში დატანებულია პატარა ფანჯრები, გაქონილი ქალღლები გაკრული, რომელშიაც ძლიეს შეედის სინათლე. კოხურებს ამისთანა სადგურებიც არ აქეთ. ზამთარ-და-ზაფხულ ისინი პატარა შეე კარებში ცხოვრობენ. ქურთები ძალიან მოყვანილი ტანისა და ლამაზნი არიან. ისინი არიან მალანნი და შეეთელანი და მიმზიდველი სახისანი; ვანსაკურთები, როცა თავის ტანისამოს ჩაიკმენ და სარტყელში იარაღს გაიკოზმენ, ძალიან წარმოსადვი შენედლება აქეთ. ქურთის ქალები სახებზე არაოდეს არ იკეთებენ პირბადეს; ყოველთვის პირხდელი დადიან. ქალებიც კაცებსავეთ ლამაზები არიან.

მათი საწმუწნოება ბევრნაირია. მათში სხვადასხვა რჯულის ქრისტიანებიც არიან; ბევრი მათგანი მუსულმანები არიან, შიიტის ანუ სუნიტის სარწმუნოებისა; მომეტებული ნაწილი კი მათში კრბ-თაყვანის მცემლები არიან.

ქურთები მულად ყაზალობას მისდევენ. უბედური სპასუხლები და სომხები მათი მსხვერპლია. ქურთები არიან თავისუფალნი; არცერთს სახელმწიფოს არ ემორჩილებიან და ამისკამო რაც უნდა მკვლელობა მოახდინონ, პასუხის გაცემე არაენან ჰყვით. გურანები კიდევ ცოტათი ემორჩილებიან დიარბეცი-



ქ
 უ
 რ
 ე
 მ
 ე
 ბ
 ე

რის გამგებელს; კოხერები კი სულ დამოუკიდებელნი არიან.

კოხერმა რომ სპარსეთში მოკლას ვინმე, მაშინვე მოიკიდებს ზურგზე თავის პატარა კარავს და ვადავა არაბეთის უდაბნოში. იქაურს მცხოვრებლებს (ბე-

ღუნებს) სულაც არ ენადღებებათ გამოიძიონ ახალ-მოსული კაცის ვინაობა, ოღონდ რომ რამოდენიმე ფული ჯარიმათ მოუტანოს. გურანების მოჩიჩილება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აძლევენ დიარბეკირის გამგებელს იმდენ ხარჯს, რამდენსაც

... მაგრამ ვინ გულისხმობს
 და ვინ გაგულისხმებს, გონება,
 რომ არვინ ცდილობს დასწოს.
 საწყელი მუშისა მისაა!

მაგრამ თავი დაენებოთ ამ მუდმივს, თითქმის
 გადაჭარბებულს, თუმცა მართალს ჩივილს გაუნათ-
 ლებელი კაცისა უსწავლელობის შესახებ; ნუ გა-
 მოეკიდებით ნურც იმას, რომ დავითაშვილისთანა
 მოუშაბდებელ მოღვაწეთათვის სრულიად გაუგებარი,
 გაურკვეველი და მიუწოდამელიც არის ის დიდი მო-
 ძღერება, რომელიც „ცდილობს დაამზოს საწყალი
 მუშის მოწება“ და ვადავდე თვის „თხზულებათა“
 სხვა სავანეზედაც.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა სიღარიბე და სი-
 ცალიერება იქ გრძნობათა და შთაბეჭდილებათა!...
 სამშობლოს სიყვარულის ძლიეს გამოუწყევია და წარ-
 სმუშობაღეს დავითაშვილის გულში მხოლოდ
 ორიოდღე ლექსი და ისიც უხვირო და ყოველს სი-
 ცხოველეს მოკლებული. აი, ეს ლექსნი: „ქუთაისის
 ძველ სობორას“ (გვ. 157), „წმინდა ნინოსა და თა-
 მარზედ“, „სამშობლო“ და ერთიც კიდევ, სადაც
 იგი ამბობს, რომ „სამშობლოს სიყვარულმა ამიძღლე-
 ვარა გულთა“, მაგრამ ქვევით ახვე ლექსშიაც, იგი
 გაუბრის ასეთს სავანს და მოშორისავით მოჰყოლია
 სულ სხვა დარდებს, რომელთაც არავითარი კავშირი
 არა აქვს სამშობლოს სიყვარულთან...

ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენი გვაკვირებს.
 ნუ თუ ამ კაცში იმდენად სუსტი, უენიადავო და სი-
 ცხოველიც მოკლებული იყო თან-დაყოლილი მალა-
 ლი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, რომ მას
 საქმარისად ვერ დაუმორჩილებია, ვერ მოუკავებია
 გული ამ მოღვაწისა? აკაკი, ბიოგრაფიის დამწერიც
 და სხვებიც ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ დავითაშვი-
 ლი იყო გულწრფელი და პატრიოსანი საზოგადო კე-
 თილ-თანამგრძობი“ და განა დასაჯერებელია, რომ
 სულის ამ გვარ თვისებათა პატრონს არ მიეცია
 უმთავრესი ყურადღება ამ უბედ-იღბლო „სატრფო-
 სათვის, რომელიც ქაჯებას ჰყავს ცხრა-კოტულში“
 და ჯერ კიდევ

არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს;
 და ისევე გაადგომებს!...

აკი მოგახსენებთ, ეს გარემოება, ვინც რა უნდა
 სთქვას, დიდდ ამტკიცებს **ზნეობაზედ დასწებას** კა-
 ცისა და გესნი ამ ფაქტს მხოლოდ იმით, რომ ი. დავი-
 თაშვილი იმ წრისა იყო, რომელიც, ჩვენდა სამწუ-
 ხაროდ, ამ გვარ საშუაზე ფიქრითა და ზრუნვით გულს
 არ იელავს და სრულებითაც არ დელავს, არ შფოთავს

„თავანწირულის სულის კვეთებით;“ ან იმით,—რომ,
 შესაძლებელია, დავითაშვილზედ, როგორც სრულიად
 გაუნათლებელს კაცზე, გაელენა ჰქონდოთ იმ მყვირა-
 ლა და თავ-ხედ ურცხვებს, რომელთაც ბუნებამ
 დაბადებისთანავე მოუხსია ნიჭი სამშობლო ერისა
 და ქვეყნის სამსახურისა და სიყვარულისა...

ი. დავითაშვილის თავისი პირველი ლექსი გად-
 მოუყვებია და დაუწერია 1877 წელს. მას აქეთ, თა-
 ვის სიკვდილამდე, ე. ი. 1887 წლამდე, შეუთხზავს
 ყველა ის ლექსები, რომელთა შინაარსი და ხასიათი,
 მომეტებულ ნაწილად, გლგხთა და ხელოსანთა გე-
 მოწების და გულის შესაფერია; კილო და ენაც
 ხალხური, მაგრამ აქაც უფრო ხშირად იგი ჰმადის პო-
 ეტს დ. გურამიშვილსა და განსაკუთრებით აკა-
 კის, რომლის ლექსთა ვითომ და წამგვანებითა და
 ზეგაგლენით დაუწერია საქმაო რიცხვი თავისი ლე-
 კსებისა; უფრო კი „გუგლი“ (გვ. 62), „ჩილიკო-
 ბა“ (გვ. 64), „არხოელთაგები“ (გვ. 55), რომელ-
 ნიც, შესაძლებელია, სიამოვნებითაც წაიკითხოს კა-
 ცმა.

საზოგადოთ კი უნდა ითქვას, რომ ამდენი ხნის
 განმავლობაში, განსვენებულმა დავითაშვილმა ვერ
 შესძლო ვერც ერთი ხერიანი სურათისა, ხასიათისა
 და აღმანიის ცხოველი გრძნობის პოეტურად ჩამო-
 სხმა და გამოხატვა. ბუნების სურათთა ხელოვნურად
 ამეტყველებისა და ხორც-შესხმისა,—იმას ხომ სრუ-
 ლიად არაფერი გაუგება... აკი ამიტომაც აეტკირი
 უფრო ცალიერი სიტყვებსა გაღვქმვას ვაჰყოლია;
 გამოდგომია ისეთს სავანს, რომელიც მაინც და მაინც
 არც ისეთს განსაკუთრებულს მოთხოვნებებს შევა-
 დგენს ჰეშმარიტის პოეზიისას, თუმც აქაც მეტის
 მეტად კოქლობს იმისი ლექსი, რითმა და უბრალო
 მოშინის ლექსისაგან, არა ვგვონია, რომ ბევრით
 განირჩეოდეს. აეტკრომა, ალბად, არც კი იცოდა,
 რომ მთავარი აზრი და წმინდა ღირსება მარტო-
 ლისი, ჰეშმარიტის ლირიკისა მხოლოდ და მარტო
 სიტყვების გაღვქმვა კი არ არის; არამედ—შინაარსი,
 სავანა, რომელთანაც ცოცხლად, ჰარმონიულად შეთან-
 ხმებს, შეხორცება რითმებისა, გარეგანი ფორმისა
 ყოველთვის, თავის თავად მოინადრებს მკითხველს
 და ძლიერს, მკედლს შთაბეჭდილებასაც მოახდენს
 ხოლმე მასზედ. მხოლოდ და მარტო ასეთ ნაირის
 ჰარმონიით ჩამოსხმულს ლექსის ღირებუნი სწორედ
 ისე, როგორც მდიდარის შინაარსისა და ხმების მუ-
 სიკას, შეუძლია აღძრას, შეატკოს და დაიმორჩი-
 ლოს მკითხველის გული ხან-გრძლივად, ღრმად. ი.
 დავითაშვილისებური მანერა წერისა კი, ე. ი., მარტო

გალექსეა სიტყვების ყოველთვის ეწინააღმდეგება ნამდვილის პოეზიის აზრსა და დანიშნულებას და, რასაკვირველია, ვერ მიიპყრობს ყურადღებას წმინდა გულისა და ფაქიზის გემოვნების კაცისას... და ამ გეგარა მანერა წერისა მხოლოდ ნიშანია უფრო ნიჭ-მოკლებულის ხელოვნობისა, რომელსაც არა ეითარი კავშირი არ აქვს ქვემარტის ხელოვნებასთან.

მაგრამ... ხეირანი პოეტური სურათის ჩამოსმასა და ცხოველის გრძნობის გამოხატვასაც თქვენი ჭირი წაულიკ; როდესაც დავითავშოვს არც ერთ თავის ლექსში მარტივი შთაბეჭდილება და უბრალო, ბაწაწიქნელა აზრიც ვერ დაუყვანია ბოლომდე, ვერ დაუსრულებია იგი ყველასათვის გასაგებდა და გასაზიარებლად. მოლექსემ არ იცის გადაჭრით და გადაწყვეტით, თუ რა გამოსთქვას, რას მიუტინოს და მიაქციოს თავისი ყურადღება და ამიტომაც არის, რომ იმისი აზრიც გრძნობა დაუანტულია, გაურკვეველია და მის მრთელს „თხზულებას“ რაღაც დაუსრულებლობისა და ბუნდი სანტიმენტალობის ბეჭედი ახის...

ამ გეგარად, ი. დავითაშვილი მოკლებულია განათლებასა და ზოეტურ ნაწესს, რასაკვირველია, ვერ მოახერხებდა ნაბიჯის წინ გადადგმასა და წარმატებას. საწყალობელს არა თუ პოეტური ნიჭი, უბრალო მხნეობა, ხალისი და ენერჯიაც არა ჰქონდა, რომ გამკლავებოდა თავის გაკვირებულს ცხოვრებას და იმედითა, დაუჭიკრებით, ვეჟ-კაცურად ეყურებინა მომავლისა და წუთის-სოფლის წოდება-უტყუას ტრიალისათვის, არა; სამწუხაროდ, ამ გეგარ მოქმედებისათვის თავი არა ჰქონდა ი. დავითაშვილს; ამიტომაც იმედიც დაეკარგა და ხასიათიც დაუსუსტდა, გაუტყდა. „ამან, — მოკეთხრობს ბიოგრაფი, — 1886 წ. დაანება თავი ტფილისს და ეწეია (!) კახეთის დედა ქალაქს თელავს. ახალს ადგილს (?) ახას (ამდენი „ამან და ახას“ ვაგონილა ერთს წინადადებაში?) თითქმის არაფერი დაუწერია. აქ უმეტესად თავის ნაწერების ბედზედ ჰგეჟკობს: „მე მოცუტდლო,“ — ხსენრდა ი. დავითაშვილი თურმე ერთს თავის მეგობარს. მართლაც, ი. დავითაშვილი არა თუ 1886 წელში „მოხუცებულა,“ ესე იგი გამოცალიერებულა და შემოლოვეა ხალისი რაიმე დაწერისა, არამედ აღრვეაც. 1888 წლიდან დაწერილი იმისი ლექსები, გატეხილი უნდა მოგვასენოთ, არც წაითხვის ღირსია, რასაკვირველია, არც დაბეჭდისა: იგი იმასვე იმეორებ, რაც წინად გაულექსეაჟს, მხოლოდ უფრო უწინოდ და უგემურად... მაშასადამე, ის ვარემოება, რომ, ერთის მხრით, ი. დავითაშვილის ლექსს თან

და თან, რაც ღრო გადიოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა უარესობა, აკლდებოდა სიტხოველე და, მეორეს მხრითაც, ჯერ კიდევ არ დავაჟ-კაცებულო კაცი „მოხუცებულობას“ უწიოდა — ამტკიცებს, რომ ი. დავითაშვილის სიკვდალს, რომელმაც „მოსწყვიტოა ჩენს ცას მანათობელო ვარსკელოვი,“ ქართული ლატერატურისათვის სრულად არაფერი არ დაჟკაა...

მთელს იმის ლექსებში ჩენს შეეხედით მხოლოდ ერთს ლექსს „მუშის სიმღერა“ (გვ. 11), რომელსაც ეტყობა მცირეოდენი ენერჯია, ი. დავითაშვილს აქვს კიდევ ერთი ლექსიც „სიმღერა“ რომელიც გამოუწყვეია ახალ-გაზდა ქალის, თინას, სიტურფეს და მისთვის „ხელ-ქმნილს“ უბრალო მოლექსეს თითქმის პოეზიის ცხოველი სხივი ოდნეჟ შეენია. პოეტურ გრძნობის ნასასს, როგორც იყო, ძლივს ძლიობით წაეატყდი მარტო ამ ლექსში, რომელსაც აქვე ამოეწერ:

“გეჟჟ, გეტრფი, შეგეაერო თინაო,
ცის ეთერო, ჰეჟენას სასე, მინაო.
აგრე ტურფეჟ კდემს დეგრეო ვინაო,
შეჟინერო, შეჟი რამ მოჟეინისო?
შენთვის სელ-ქმნილს არსადჟ მატეს ბინაო,
თუ არ შენს, შემბარდლებს ვინაო?
ტრფობას მონს, შენ მიმიდეჟ შინაო.
და შენს არეს მდირეჟ მოჟე ბინაო.
ოხრად დარჩეს თუელი და ხსინაო,
აღოსდ ერთი შენთან მომადენინაო,
თუნდა შეჟდგე სათლავეს ჩამწეინაო!
გეჟჟ, გეტრფი, ჩემო კარგო თინაო!
სელ-ქმნილი ვარ, გერ ეან მომარბინაო!
ცის კარსგედავო, ჩემო სულას ბინაო,
დარბმეჟეჟულს შენ გამამეო წინაო!
შე შენი ვარ სიკვდეღამდის, თინაო,
გეჟეიგები, რამდენ გამამინაო!”

მაგრამ ერთს წამს შეწერდით აქ და დაუეკირდით ამ ლექსსაც. სამწუხაროდ, უნდა ესთქვით, რომ აქაც, ამ ლექსშიაც ყოველად უწენებელი, უმანკო გრძნობა აეტკობის ვულგის ზედა პირიდან ამოდის, შედარებით, სუსტია და მტკიცე, ორგანიული კავშირი არ აქვს მთელს იმის არსებასთან. ამ გეგარი გრძნობაც, ალბად საეჟიკრებელია, სგენის უწინშენელო, გარეგანის შეწენითა, თელთა მხედველობის წუთითვის გადაკერით არის გამოწვეული და ის, რა თქმა უნდა, სუსტია, ევრავითარს ზედ-მოქმედებას ვერ მოახდენს და მხოლოდ გულს კაცისას ისე, ოდნეჟ-და გაკვარეს, გაკაწარეს და უგზო-უტელოდ, უგანაჟ-

ნოდ მალეც გაჭკრება, დაიკარგება „სიზმარებ ჩქარა“...

და მართლაც, დამეთანხმებით, რომ ვისაც საწერ კალამი და ქალაღი აუღია და სწერს ლექსებს მხოლოდ იმიტომ, რომ, უფკველად, პოეტი გახდეს,— იპას, ეიმეორებთ, სრულებით არ გაეგება პოეზიის გემო, იმისი სპეკტი, დიდი მადლი და, მაშასადამე, ეერაიეთარს სიტკობებს, სამკვიდრო შთაბეჭდილებას, ცხოველს მყოფელს გრძნობასა და სიამოვნებასაც ეერ განიცდის და, შესაძლებელია, ამდენს ჯახირსა და გრძნობა-გონების წვალებაში მალეც „მოხუცდეს და გალიაში დატყევებული მუზაც გულ-გახებ-თქლი გაუფრინდეს საუკუნოდ, სამარადისოა...“

მე მკონია, სიტკობებისა და სიამოვნების გრძნობას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და მნიშვნელობა, როდესაც იმისი დასაბამი, წყარო თვით ადამიანისავე საკუთარს არსებაშია; როდესაც თვით უმაღლესი თვისებანი სულისა, ლეითური ნიჭი კაცისა თვისთავად, ბუნებრივად, ძალ-დაუტანებლივ თხოულობს და ჰსურს დასტკებს პოეზიის ცხოველს-მყოფელისა, ნახისა და მდიდარის ხმებითა. ამ გეარს პოეტებს რაკი ერთხელეც აუეარდებთ გულის ლეფა და მოიხსურევენტ რაიმე აზრისა და გრძნობის გამოხატვას, ისინი მაშინვე ძალა-უნებურად ამღერდებიან და იმ დროს, რასაკვირველია, ეერტ შეცდმებენ, რომ შეეყენონ თავიანთი გრძნობა-გონების მოთხოვნილება სწორედ ისე, როგორც შეუძლებელია სმა-ჰამისა, ძილისა და სხვა ბუნების მოთხოვნილებათა ხანგრძლივად შეჩერება. ასეთი პოეტები, თითქოს, ასე ამბობენ: ჩვენთვის სულ ერთია, რას ჰეიქრობს ჩვენზედ საზოგადოება, როდესაც იკი ჩენნი ლექსების საშობარულთა, თუ საპწუხარო სიტყვებს კითხულობსო და მღერიათ:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გეინდა ტუში, რასაც გქისხურებო, ეკლავ ერთუფლად მას ექმსასურთო.“

მეგრამ ამ გეარად გამოხატული გრძნობაც სუსტია და უძლური შედარებით იმ აზვირ-თებულსა და მშფოთვარე ძლიერს გრძნობასთან, რომელსაც ჩვეულებრივი, ბუნებრივი გრძნობა ტალღასეით ვადმოუხებთქვს, ვადმოუარია და მტკიცედ, ღრმად შეკევირება ადამიანის სპეტაკს **წინაობას**, იმის წმინდა სინდისის ცნობიერებას და იქიდავან აზომინარებს, აღმომეტყველებს. ამ გეარი თვისების გრძნობათა და სულის ძალა მეტის-მეტად ღრმად და წარმოუდგენელი, საოცარი ძლიერებაც აქვს. და ასეთის გრძნობით მოკავებულს, შებოჰოს არსებას არაფრად მიანჩია არა თუ „სულით გლაზაკი“ საზოგადოება, თვით მთელი ზღვა და ხმელეთი. თავის პირადი არსებობაც და ხმალ-ამოღებულის ძლევა-მოსილი მტრის წინაშე შურის გებისა და განუხაზღვრელის მძულვარების გრძნობით გამაჰკაულული, ცეცხლ მოდებული ჰქუხს, თვის ზნეობის საიდუმლოებას საქეყნოდ აღიარებს, და არ შიშობს, არ ღრკება, რადგანაც

„გაჭკრება შე-ბესას და დადის შეუპოვარი, ეერ შეამსნეს რისხვით ცა, ჰარსეხდა-ჰარი მითავარი!“

მეგრამ ამ ზომამდე, გრძნობის ამ ხარისხამდე მიღწევა მხოლოდ და მარტო რჩეულთა ხეედრია... ი. დავითაშვილის გრძნობისა და გულის ნადების ძალა ზევით ამოწერილს ლექსშიაც არა თუ ამ თევისების არ არის; იკი მეორე ხარისხის გრძნობასაც ეერ მიუახლოვდება, რასაკვირველია, და, მხოლოდ უქანასეხვას საფეხურზედ, ქვედა პირზედ დგას და შეკულებრავს, უბრალა გრძნობათა მალ-ღონით სხვა მომარად და მოღექსეს სამღერასაცან არ განსხვავებებს, არ განარჩევს...

ზომილელი (შემდეგი იქნება)

გ ა ნ კ ა რ უ ლ მ ბ ა .

(*) დასასრული



აღიას ბეერჯელ ედარაჯებია რკინის გზაზედ და ამიტომ იცოდა, სადაც უნდა დამდგარიყო. ის მივიდა მიჩნეულ ადგილს, დაიყუდა თოფი წინ და გაჩერდა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ კაშკაში ცი გაანათა საესე მთეარემ, რომელიც ნელ-ნელა ამოცურდა მთის იქიდან. მკრთალი ნარნარი სინათლე საამოდ ეფინებოდა მდღუმარე ქვეყანას. დიდრონი ხეების ჩრდილნი უძრავად გა-

წოლილიყენ აქა-იქ, თითქოს რაღაც საიდუმლო არ სებას ბუნების სიმშვიდეში ტკბილად ჩასძინებიაო, თითქოს „ნანიანა“ უნდა უგალობოს მღუმარე ქვეყანასო, ისე ამოჰკიოდალთ თავებამოდებით სტვენდა ბუბუბული კაცია იღვა ერთ ადგილას და თეულ-გაშტერებით გაჰყურებდა ერთ კონცხის ძირს, სადაც მთეარეს შუქის მიტანა ეერ მოეცინებია. არ იფიქრო, მკითხველო, თითქოს კაცის ფანტაზია აუთამაშდა ასეთ პოეტურ დამეში; ის შორს წაიღო ოცნებამ და მიტომ გაჰყურებდა სადაც თვალემა-გაშტერებულთა. კაცის არაეითარი ტკბილი მოგონება არ

*) იხ. „ვეფხისტყაოსანი“ № 43.

ჰქონდა შვერთებული პოეტურ ღამესთან: არც სატრაფოს ხეენა-კონა, არც მწვანეზე ქეთიანია ვახ-შამი, არც სატრაფოს წინაშე სიყვარულის განცხადება და არც სხვა მისთანა. მას თავის ღღერაზე არ ჰქონია მისთვის დრო, რომ სატრაფოსთან ხელი-ხელ გაყრილი ესეირნა და დამტკბარიყო ბუნების სიმშვენიერით, ან მთვარის ღამეს სატრაფოს მოლოდინში აეტოკებია მისი გული. კაცის რომანებისა არა გავებოდა რა. მისი სიყვარულის ისტორია სულ ეს იყო: ერთ საღამოს დაიწერა ჯვარი თავის კესარიანზე და იმ დღიდან დაწყებული ეწერაღწერა ორივე ცხოვრების მიხედვით უღელს. თუ მოავგონებ მთარეობის ღამე ისევე თოხს, სახანის, ურემს, ღამით მუშაობას და სხვა მისთანას. მაშ რას მოასწავებდა კაცის გაშტერებული თვალები? მიხედვით და ნაღვლიან ფიქრებს.

— „რამდენი რა არ ტრიალებს საწყალი ყაძანის თავზე! — ეუბნებოდა ფიქრებში კაცია თავის თავს, — კოლ-შვილი დაარჩინე, ფაშის ფული გადაიხდე, უჩიტლის, შერტლის, გზის სამუშაოზე წადი, საღარაჯოდ წადი, ყველას მორჩილობა გაუწიე, ყველას ემსახურე! არა, ძალიან უბედურათ არის ყაძანის ცხოვრება მოწყობილი... ახლა დიდი კაცი მომძაღვინა... ძალიან ბევრი დიდი კაცი უნდა იყოს ქვეყანაზე, რომ ამდენი სამსახური ჰქირდება... დიდ-კაცები. ნაკვალს უკითხავს—ეინ არისო და—რა შენი საქეაო, უხ ბრეს თურმე. რა ჩენი საქეა! ჩენი საქე იგია, თუ გვიძაღვებს, ეუღარაჯოთ. თუ არა, ციმბირში გავგზავნიანო... ნეტა რა ნაირი ადგილია იგი ციმბირი? ძალიან ფინთი კი უნდა იყოს! დიდ-კაცებს არ გზავნიან ნეტა ციმბირში? ჰმ!.. რა ბრიყვი ვარ! დიდ-კაცები სხვებს გზავნიან, თავის თავს ხომ არ გავგზავნიან. რა უბედურობაა! ყაძანო, იხადე, იმსახურე, ემორჩილე და თუ რამე შეგცთა, ციმბირი და შენი ჯანი!.. ნეტაი რას იზმენ დიდ-კაცები, ყაძანები რომ არ იყოს ქვეყანაზე? თუნდა კიდევ ვარ, რომ არ წამოვიდე და არ ეღარაჯო? ეთქვათ, არ შემეშინა ციმბირის... ჰმ, რას იფიქრებს კაცი! იგი არა, ერთი დამძახეს, წადიო და მაშინვე აგერ გამოვძუნძულდი.. ღმერთო, რა ახირებული ფიქრები მომივიდა ამდღა! აქ კაცია შეგედა არც და თქვა: „კვი ხანი გასულა. იქნება ამდღამ ასე დიდმა კაცმა ეთაროს და არც არავინ“. ამას შემდეგ კაცია გადავიდა ფიქრებით თავისი ურპით მოგზაურობაზე: „ძალიანი კარგათ არ მოეწყვა ჩემი წასვლის საქე! დღეს დღიას რომ დათივი არ მენახა, ეინ იტის, სამშაფათს კილა ვერ წეკოდი. ახლა, ღმერთო შენით, სამშაფათ გამთენიერს ავაჭრიალებ

ურემს. ჩემ კოლ-შვილს რომ ყანიდან მოსული შევხებოდი, კურსხალი მადგებოდა თვალზე. საქმარო ციცაია მარინია ახლა, ესე ქეია და, შვილო, აქეთიქით ხელით იფარავს შიშველ ხორცს. ოცჯელ კალამ შვერტები აგი ოც-და ათი წლის კაცი, კალამ დევიწყე მათმა მყურადღებ ზალანასავით ტირილი!.. ამ საღამოს უმცროსმა ბიჭმა მომაძახა: ბაბა, პელანგს მომიტანაო. ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი გინდა ყოველივე სიყვით მემოკოს, იგინის დამოსის საქმე რომ გავახერხე. რაღაა, — შაფათი, კვირე, ორ-შაფათი და სამშაფათი. სულ ოთხი დღეა შუაზე. დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა კაცია ამ საგანზე. შემდეგ ფიზიკურად და სულიერად მოქანცულს ძილი მოეკიდა. რომ არ დანებებოდა ძილს, კაცია დაიწყებდა იქით აქით სარაული. „რომ არავინ გამოჩნთა, იგი დასაქცეველი! ეუბნებოდა ის თავის თავს.

დიდხანს დადიოდა კაცია. მთვარე გადახარა, მაგრამ მატარებელი არსად ჩანდა. „დასაქცეველი, ცხრაი გზობა კალამ დევიცი, ესე ბინდა ძილი. დიდიდან საღამომღი თოხს ეგვრინებოდა, ახლა თელი ღამე გაათენო, რა კაცი გულმღებს ამას!“. თქვა ფიქრებში კაცია და შეეცადა, რომ გამაგრებოდა, მაგრამ სხეულში რაღაც მოღუნება იგრძნო, ძილის ნდობა ისეთი ტკბილად უღვლიდა ტანში, რომ კაციას მეტი აღარ შეეძლო. „მოდი, პაწაი თვალს მოვატყუებ და მერე უფრო ფხიზლათ ვიქნები“. იფიქრა კაცია, დაიღო თოფი მკლავზე, დაღო თავი რკინის გზის რელსზე და დაწვა: „თუ ეინიკობა, მაშინა მოვიდა, რეინცაზე რომ თავი მეწემა, მაშინე შეეტიყუე და წამოხტები“, გაიგლო ფიქრებში და დახუჭა თვალები. ეღო რა რელსზე და ეძინა კაცია. საესე მთვარე კი, თითქო ეტრფის მის გაბურჟენილ წვერ უღვაშსო, ნარ ნარად დაჰყურებდა ზეიდან. ბულბული კი სმენის დამტკბარებლად გაიძახოდა: „ტიაე, ტაე, ტიაე!“.


არ გასულა ნახევარი საათი, რომ გამოჩნდა მატარებელი. იმისი მოვარაყებელი ეავანები თვალის წამტაცად ბეჭერილობდა მთვარის შუქზე; აუარებელი სანთლების სინათლე საამურად უერთდებოდა ფანჯრებიდან მთვარის სინათლეს, ეავანების თულეზი ისე უხმაურად მოსრიალებდა, თითქო არ უნდა კაცია ძილი დაუფთხოსო. აი, მიუახლოვდა კაცია მატარებელი. კაცია მოუმატა სუნთქვას, თითქო ეს არის, გაიღვიძებს და წამოხტება ზეზო. მაგრამ არა, კაციას მხოლოდ დაესიზმრა ზეზე წამოვიარდა. კაცია ხელდაესიზმარში. ეთომაკ იმან შორს შეუტყუა მატარებელს—მოდისო, წამოვიარდა ზეზე, მოიშარჯე

თოფი და ღვას მარდად. ხედავს, მოდის მატარებელი, სულ ერთიანად ოქროსი; შიგ სხედან ოქროს ტანსაცმელით კაცები; მოპარსულის წვერებით და მწყრომარედ უყურებენ კაციას, ვითომც და იმიტომ, რომ გაუციათ კიდეც, კაციას ეძინაო. კაციას უნდა ბოდში მოიხალოს, მაგრამ არ იქნა, ენა ეერ დასძრა. «ეაი, დაედუბე ცალი და შეილი! ამბობს ვითომც კაციეი თავისთვის,—ციმბირში გამავაზუნეიან!»

სწორედ ამ სიზმრის გამო იყო, რომ კაციამ სუნთქვის მოუშატა. მატარებლის თვალებმა გაისრიალა რელსზედ, რომელზედაც კაცია იწეა და განაგრძობა გზა...

განთიადიას რკინის გზის დარაჯმა იპოვა ღიანდაგზედ მკედარი კაცი, რომელსაც თავი ჰქონდა წაგლეჯილი.—ეს იყო კაცია მუნჯადე.

გ. ნინოშვილი.



ს ა ს უ მ ა რ ო ზ ა ს ა რ ო მ ზ ი

გოჯასპირ და ივანია

ივანია. ძალიან წესი შემოაულიათ ჩენს მწერლებს ერთქამეთის გასათელად.

გოჯასპირ. როგორ, ივანია? შენ ხომ ვაზეთის კაცი ხარ, თავისი კუდი რომ გაზეთში გაიანძრეს, ისიც არ გამოგვაგზავნა.

ივანია. ეილებენ მართალ ნათქვამს და სინცრუით გადააკეთებენ; მერე ამ სინცრუეს მართალ კაცს შიაწერენ, გამოუდგებიან და რამდენსაც მოუხერხებენ, იმდენს ცილს დაწამებენ. ასეთუქნეს გ. წერეთელსაც, ვითამადა თუ გინდა სახლი დაანგრო, გერ საძირკველი უნდა გოუტეხოვო—ნათქვამია. მარა მე რაეარც ვასტყობ, აგი საძირკველი რაუცხა ფოლადის ყოფილა. ეერც ქლიბით და ეერც ხერხით იმას ვერას აკლებენ... ცოდნით რომ ვერა უქნეს რა, ცილის დაწამებით უნდებიან განტყუნებან; მარა არ მოგეცეს მარცხი, იმას ვერაფელი მოუხერხონ, თავათ ივინი გამოვლენ ტალახში ამოსვრილი.

გოჯასპირ. როგორ, ივანია?... არ მისმის, კარგათ. დლაგებით ამისწინი.

ივანია. გუშინწინეი გ. წერეთელმა გააფთხილა ჩენი საფლის მასწავლებლები: თქვენში წმინდა ცხოვარიც ბრევილა და უკეთური თხაკაო. ნუ ენდობით იმ წყველ თხას და ნურც ანდობთ ბოეშებს გასახლელათო; თვარემ კაკალ კლდეზე გადაპყროსო. თხა ნეყერის გულიზა კლდეზე დაკოტინობს და გულმარტივ ცხოვარს თუ წაუშლევ, შენი მტერი!.. გ. წერეთელმა ამილა იმ თხებს, ტყუილათეი ნუ ირჯებიო. კი შევიტყო ხალხმა ყველაფერი: არ განდობენ თავის შვილებს არა, არა და არაო. თუ გინდათ ხალხის ნდობა დეიმსახუროთ, მოიქცეთ: მართალ გზაზედ გვიარეი, კლდე ღრებში ნუ მიიწევი, თქვენც სწორე გზას დაადექით და ბოეშებიც სწორე გზაზე დააყენეთ, თვარა ხალხს გონება გოაუნთილა დაღის სინათლესავითარ. რაც იმათთვის საჭიროა, იგი ასწავლეთო, თვარა შვილებს

ალარ განდობენო. თუ შესაფერი შკოლები არ გოუკეთეთ, სხეა შკოლებიარ უნდებიანო. ამაში ტყუილა ბრალს გაიძვირებს რეიზა აღებო... ეინცხა რიონის პირელი ჩიჩიეი წამომდგარა ახლა და გოუტყრელები გავლეთის ფურცელი, ვითამ და გ. წერეთელი ამტკიცესო: ჩენში გაიძვირებეი არ არიანო; სეიდან სადაო, წმინდა საბაო... რიონის-პირელი ამბობს, ჩენი იმერეთი სუნთლად გაიძვირებით არის საფსეო? იმე!.. დაგვლანძლა იმ ჩიჩიამ, ისთე დაგვლანძლა იმერლები, რომ რიონიც ვერ გავგერცხავს. ახლა აგია მართალი?... სულ სინცრუეა, შენ ნუ მოუკეტე ჩემ თავს.

გოჯასპირ. კიდეც ეგ არის, ჩემო ივანია, კარგ მოქმელს, კარგი გამგონე უნდაო. რიონის-პირელს ალბათ პილიბილი აქეს ნაჭამი და პირიც იმიტომ ეწვის.

ივანია. ეწვის და მასთე... ალბათ თავათ იგი რიონის-პირელი უნდა იყოს უკეთური თხა, ან და იმ უკეთური თხის თანამოზარე და იმიტომ არის, რომ ტიტინებს და ასთე გულანძლავართ ტყუილა უბრალოთ მთელი იმერლობა. ააა, მე მითხრას ირ-და-პირ, თუ კაცია!.. იმ მინუტში ეშლევკე კისერიში ამ ჩემს კულა-ხვალს.

გოჯასპირ. კარგია, მამა ნუ წაგინწყებებ; ნუ იცი შენ ვეთი სთვიცე. ეგ ვინლაც რიონის-პირელი ყოფილა, სულ მუფუნებელი კაცი ყოფილა და განა ღირს მაგისთანებთან ლაპარაკი? შენ ეს მითხარი ი ფლასია, თუ პლებსია, კარგა ვერ გავარკვიე, რას მიქარავს, რომ მოსე ჯანაშვილის აზრებს დევებს და თავეი მოგავებზრა?

ივანია. მოგეცა სი კოცხლე, მე იგი შევამკვე; იმისთანა ფლასი-ფლუსი მეცნიერები, პლებს და ფალას რომ უძახიან თავის თავს, ჩემთან გამოვიდენ და მე ვაგებ პასუხს. გიორგი წერეთელს არც ვერჯე იმათზე. ახლაც უშველებელი ლეჟამი დოეწურე და ჩემ ჩონგურზე უნდა დაეამდგრო.

გოჯასპირ. არიქა, მიშველე, ერთი გამამხიარულე. **ივანია.** ახლავე, შენ მოუკეტე ჩემ თავს!

მასხარას*) ძველად ეძახდნენ
ერთ ახირებულს ჩაჩასაო;
ვინც იმას ჩამოიფხატდა,
სახელს უწოდდა თავისაო.
ჩაჩს ჰქონდა სხენე ცხვირისა.
უკან ათრევდა კუდსაო;
ჩლიქებით მალლა დახტოდა,
სიცლით ხეთქდა ხალხსაო.

აგრეთვე „პლებს“—იც ჩაჩია,
კაცს დაუბურავს თავისაო;
სახე არა აქვს კაცისა,
არც ემონება ჰვესაო;
მხოლოდ აცინებს მკითხველსა,
ან გააბრიყვებს ბაეშსაო;
მებრალვის იგი მკითხველი,
ვინც რომ ახყეება მასაო.

აკი თვითონვე მოგვითხრა,
როგორ კითხულობს „კვალსაო“:
როცა „კატლეტი“ გაძღება,
ზედ დააყოლებს ხაშსაო,
თავსა „ჭოსმანად“ იწოდებს,
ხელს ჰკოცნის მასპინძელსაო.
ძილი რომ მოეცილებს,
მერე გადაშლის „კვალსაო“.

ამ სახით ძილში ბოღევი
ღეიძილში აუხდენია;
ზე წამომხტარა ლოგინით
„ვერიკა“ დაუსტენია:
„აწ კი ვაჩენებ გიორგის,
„რაც კაცი არის ბრძენია;
„ლაშა“ „ლოჩიდან“ გამოჰყავს,
„ჭორიკოზ“ გაუფრენია;
„ჭორ-ტისკოპოს“ ნახირად
„მეფეში გაუწრეია.“

„ახლა მე ვიცი, რას ეიზამ,
„თავს ავადინო ტუტაო;
„დაშორებული წიგნები—
„თავიანი და უთაო—
„სულ უნდა ამოვალავო,
„ეს ჩემი მცნების ვუღაო.

„ტუთილ სიცრუით გაბერილს
„ღღესვე მოელის ჩუტაო“.

ეი რა ეუთხრა იმ ცოდნას,
ან იმ მეცნიერს მკვლევარსა,
ვინც ძველის-ძველსა აშვებდა
აჩემებს ახალს მწერალსა.
კვლევის უტყუარ საბუთად
უთითებს პლატონ-მკვებარსა,
ელონინელთ ბრძენსა კი არა,
ჩენს პლატონს, დიდსა-მკვებარსა.

მასხარა ჩაჩით მორთულსა
მეტე რა უნდა ეწერა?
სლოვენოფილი ჩიჩერინ*)
და პლატონ ენას ეცრა.
„პლებსი“ უყეთეს ვის იცნობს?
პირდაპირ იმათ ეძვრა,
ვითა უგბილი ცოდნაში,
ფრთა მოტეხილი მთის ძვრა.

თუ რა უებრა მკვლევარი
ისტორიკოს პლატონია;
მოსე ჯანაშვილს მიჰმართეთ,
ის არის მის აშწონია.
იმისი სუსტის კვლევისა
მან შეთხზა ტიბიციონია
და თუ ეს არ წავიკითხათ,
არ არის მოსაწონია.

აბა, ჩიჩერინ, პლატონი
რას გიშველისთ სიმართლეში?
ისინიც ზწირად განთქმულან
თქვენსავითვე სიცრუეში;
არც ერთს მათგანს არ ჰქონია
ის საგანი ტენთ უბეში,
რომელსაც თქვენ შეეხებთ,
უმეცარი და უბეში.

როგორ სირცხვილი არა გწეათ,
იმეორებთ სხვის სიტყვებსა;
რაც მოსემ თქვა, მარტო იმით
თავს აბეზრებთ მკითხველებსა.

*) მასხარა ჩიჩერინის მასის, არაბული ქიდან წარმოებს. იგივე
წინაშეა და აქვს სვედონინის, როცა ესაზიკოთ, სულალოთ
ამხანათო სათრეველად გამოდის ასაბეზრე. გოჯასპირ.

*) ჩიჩერინი მოსკოვის პროფესორი იყო 1859 წლების გასულს
და 1862 წლების პირველ ხანებში, იგი ამტკიცებდა, რომ სლოვენთა
საერთო წუმა და ინგლისისა ბევრნი ენაჰყავსება ერთმანეთსო.

გამოიღეთ ყურში ბაზმა,
 არ ვყაბულობთ თქვენს მოწვევებს,
 თქვენს ძიებას, თქვენს აზრებს,
 დაღვიძლას ძველ ის-ძველსა.

ჩვენ ვიწყებთ ახალს ძიებას
 არ ვყარობთ მითი, რაც ითქვა.
 ბგერია ისტორიაში,
 თქვენებრ ცრულ დასკვნით განითქვა;
 მაგრამ ძიების სინათლემ
 ქეშმარიტება აღგვითქვა;
 სიცრუის უფიათობა
 მართლის მორაგეში შთანიტვა.

უნდა ვეძებდეთ სათავეს,
 წარსულის ნამოკმედარსა;
 მის მოწმად თანა-მედროეს
 ნათქვამსა, მართლით მგზნებარსა.
 რას ეაქვევ შემდეგ მოსულსა,
 დაშორებულსა მკვლევარსა?*)



ვერც თავისას სცნობს, ვერც სხვისას,
 აბრუნებს ენას მკლესარსა.

რათ გინდათ, რასთვის ინახათ
 ჩიჩირინისა ლექციებს;
 ისიც თქვენსავეთ ძველ ნათქვამს
 მიკერძებიტა იძიებს;
 მითი აქეს ნაკლი მის ცოდნას,
 თავისას მუღამ მიჰკერძებს;
 ხშირად უყვლმა კითხულობს
 წაღმა ნაწერსა წერილებს.

გიორგის არა სცალიო
 თქვენთვისა სავსულბოდა;
 მე იფანიკა ვაზბუღლო,
 შეგებში საცუნდრუკოდა;
 ასე ვავიხილ მაგ გულას,
 მომართულს საპოროკოდა,
 რომ ფლასი-ფლუსი დაგაცედეს,
 ხელს შვგრჩეს ქორი უფხოდა. °)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

*) აქ იფანიკა ამტკიცებს, რომ თუ გინდა ისტორიული ქეშმარიტების დამტკიცება, ან იმ დროის წერილობითი საბუთი უნდა გქონდეს ხელში, ან არხეოლოგიური გამოკვლევა, თორემ ძველი დროის ამავე გუშინდელს დაბადებულს რომ კეთილი და მისი დამოწმება მოიტანო, ეგ რა საბუთი იქნება? იფანიკა.

*) უფსო ქორს უმხაროლო სიცრუეს ეძიებინა იფანიკა

ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ქართული თეატრი
 დღეს, 24 ოქტომბერს
 ქართული დრამატული საზოგადოების დაქარს მიერ
 ქნ მ. მ. საფარჯიანი-პაშვიას და ბნ მ. აწყურელის
 მონაწილეობით
 წარმოადგენილი იქნება:

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს,
 ქართული დრამატული საზოგადოების დაქარს მიერ წარმო-
 დგენილი იქნება არქაისტი გ. ჯ. ეიფანიას მონაწილეობით
 პირველად ახალი პიესა

I ა ლ ლ უ მ ი

კომედია 4 მოქ. ჯალ. გუნიასი

II ც ა ლ - ქ მ რ ი ა ბ ის წ ი ნ ა ლ მ დ ე ვ ი

კომედია 1 მოქმედება

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვი-
 ლისა, საშარჯიანი, მინარაგვისა და სხვ. პბ.
 აბაშიძე, აწყურელი, გუნი, სვიმონიძე და სხვ.
 აღვილების ფასი ჩვეულებრივია
 დასაწყისი 7¹/₂ საათზე

ლ ა ნ დ ი

დრამატული ზღაპარი 5 მოქ. და 6 სურათი,
 გერმანულიდან ვაღმთარგმ. ლაზარი შვილის მიერ.
 წარმოდგენაში მონაწილეობას მიადებს მთლიანსა
 დასაწყისი 7¹/₂ საათზედ
 ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ქ. ბ ა თ უ მ უ ი

(გურიის პატარა ქუჩაზე, შაქსანაძის სახლი)
 ოდესის უნივერსიტეტში კურს დამთავრებულთ ბ. მ.
 ცაბაძემიწოდის და ი. ს. შანსხაშას მიერ გაიხსნა
 პირველი დაწყებითი სკოლა
 პასიონითა და გაკეთილების გასამგობებელს კლასებით